



გ-04/28.14
20.06.14

ქ.თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

№ 07/4746-8
„19“ „06“ 2014

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ თამარ გვარამაძეს

ქალბატონო თამარ,

ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში შემოსული თქვენი №გ-04/260-14 (07/4746-8 13.06.2014წ.) წერილის პასუხად, გიგზავნით შპს „დელტა კომმ“-ის 2014 წლის 29 აპრილის წერილს კომპანიის კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების არ გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

თამარ მათიაშვილი



საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა 7
 2 Gaphrindauli st., Tbilisi, Georgia
 Hom page: www.delta-comm.ge
 E-mail: info@delta-comm.ge
 info@delta.ge
 tel./fax: 910 510

25.04.2014წ.

№გ-108/04-14

**ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის
 სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
 ქალბატონ თამარ მათიაშვილს**

ქალბატონო თამარ,

შპს „დელტა კომმ“-ში შემოსულია თქვენი 2014 წლის 08 აპრილის №07/2608-8 წერილი, რომელიც შეეხება კ.ს „დი ელ ეი პაიპერ საქართველო“-ს მოთხოვნას შპს „დელტა კომმ“-ს მიერ 26.04.2012 წლის აუქციონში გამარჯვებისა და ვალდებულების შესრულების შესახებ დოკუმენტაციის გასაჯაროებაზე თანხმობას.

მოგახსენებთ, რომ შპს „დელტა კომმა“ გაიმარჯვა საჯარო ელექტრონულ აუქციონში, რომლის გამოცხადებისა და გამართვის შესახებ არსებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „დელტა კომმ“-ს მიერ ნაკისრი ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების დადასტურება ხდება კომპანიის მიერ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“, გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გაცემული შესაბამისი დასკვნებით.

ამასთან, გაცნობებთ რომ შპს „დელტა კომმ“-ს მიერ 26.04.2012 წლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირადი მონაცემებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, იმოქმედოთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაითვალისწინოთ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ინტერესები და უზრუნველყოთ კომპანიის კომერციული საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების არ გამჟღავნება.

პატივისცემით,

პაატა ქიქოძე

დირექტორი



07/2608-8
 29.04.2014